



დადგენილება
საქართველოს სახელით
ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე

29 სექტემბერი, 2023 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - მანუჩარ ცაცუა
სხდომის მდივანი - ცირა ქარცივაძე

ოქმის შემდგენი ორგანო - სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო
მონიტორინგის დეპარტამენტი
წარმომადგენელი - [redacted]


ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - ა(ა)იპ სოციალური კვლევების
ინსტიტუტი
წარმომადგენლები: [redacted]

სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები,
შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის
მე-10¹ ნაწილით და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტიდან
თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოვიდა მასალები ა(ა)იპ სოციალური
კვლევების ინსტიტუტის მიმართ, შედგენილი საქართველოს ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის მე-10¹ ნაწილით.

2023 წლის 25 სექტემბერს, სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი - [redacted]
[redacted] რომელმაც მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის



ოქმს.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტი წარმომადგენლები - [redacted] რომლებიც არ დაეთანხმნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს.

სასამართლომ საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-2023 წლის 30 ივნისს, სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტი ახორციელებდა თამბაქოს ნაწარმის - ნიკოტონის შემცველი პროდუქტის პოპულარიზაციას ინტერნეტის საშუალებით, კერძოდ, საჯარო ვებ-გვერდით - <https://www.isr.ge>.


სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 30.06.2023 წლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N001074;
- ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან;
- ამონარიდები ვებ-გვერდიდან;
- ინფორმაცია პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ;
- მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ. სასამართლოს სხდომის ოქმი).

სასამართლომ განიხილა და შეაფასა რა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება, მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნობილ უნდა იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის მე-10¹ ნაწილით და უნდა დაედოს სახდელი, შემდეგ გარემოებათა გამო:

1.სასამართლოს მხრიდან მხარეთა პოზიციების შეფასების ფარგლები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ არ არის სავალდებულო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს დეტალურ პასუხს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Suominen v. Finland*, პუნქტი 34; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Van de Hurk v. the Netherlands*, პუნქტი 61). მთავარია, ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად დაასახელონ თავისი მსჯელობის განმარტებელი ასპექტები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Georgiadis v. Greece*, პუნქტი 43).



მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან მხარეთა არგუმენტების დასაბუთებულობისა და ძირითად უფლებებში ჩარევის საფუძვლიანობის შემოწმებისას, სამართლებრივი მსჯელობა განვითარდება მხოლოდ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

2.ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტის სამართალდამრღვევად ცნობის და მისთვის სახდელის დადების დასაბუთება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით.

სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია და შესაბამისად არსებობს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, თუ სახეზე იქნება შემდეგი პირობები:

1. კანონით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;
2. ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო;
3. ქმედების ჩადენა მოხდა ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლობით);
4. არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

აღნიშნულთაგან ერთ-ერთი პირობის არარსებობა, გამორიცხავს სამართალდარღვევას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლის შესაბამისად, თანამდებობის პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ვალდებულია დაადგინოს ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. ამავე კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე ორგანო დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის; ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი

საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გადაწყვეტილებებში, მკაფიო ფორმით აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (*Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, no. 10590/93, 06/12/1988, პუნქტი 68*). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (*Bulychev v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, პუნქტი 32*).

მოცემულ შემთხვევაში, ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის მე-10¹ ნაწილის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებით უნდა დაადგინოს აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა თუ არა მითითებული ნორმით გათვალისწინებული ქმედება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის მე-10¹ ნაწილის თანახმად, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი საშუალებით ან ელექტრონული საშუალებით (მათ შორის, ინტერნეტით) – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.


„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“-ა.ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, თამბაქოს ნაწარმი არის თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნაწარმი (გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალო საშუალებისა), რომელიც განკუთვნილია მოსაწევად, დასალეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა.ა) ფილტრიანი სიგარეტი, უფილტრო სიგარეტი;

ა.ბ) პაპიროსი, სიგარა, სიგარილა;

ა.გ) საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო;

ა.დ) შესახვევი თუთუნი;



ა.ე) დასადეჭი თამბაქო, საწუწნი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო;

ა.ვ) ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალა/კარტრიჯი/კაფსულა;

ა.ზ) თამბაქოს ახალი ნაწარმი – თამბაქოს შემცველი პროდუქტი, რომელიც არ შედის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თამბაქოს ნაწარმის არცერთ სხვა კატეგორიაში.

იმავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება, სხვა ფორმით გათამაშება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის ან მისი რომელიმე ნაწილის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის საშუალებით ან მათი განაწილებით მონაწილეობა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახით თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის 21 მაისის „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციის (საქართველოში ძალაშია 15/05/2006 წლიდან) ხელშემკვერელი მხარეები საყოველთაოდ აღიარებენ, რომ თამბაქოს ეპიდემია წარმოადგენს გლობალური მნიშვნელობის პრობლემას, რომელსაც სერიოზული მავნებლობა მოაქვს ჯანმრთელობისათვის და საჭიროებს ფართომასშტაბიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და ყველა ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო დონეზე ეფექტური და ყოვლისმომცველი რეაგირების ზომების გატარებაში, იზიარებენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის შემფოთებას თამბაქოს მოხმარებასა და თამბაქოს კვამლის მავნე ზემოქმედების გამო მსოფლიოში ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე გარემოს დაცვის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შესახებ, გამოთქვამენ სერიოზულ შემფოთებას მსოფლიოში სიგარეტისა და თამბაქოს სხვა ნაწარმის გაზრდილ მოხმარებასთან და წარმოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ასევე ითვალისწინებენ, თუ რა მძიმე ტვირთად აწევა ეს ოჯახებს, საზოგადოების ღარიბ ფენებს და სახელმწიფო ჯანდაცვის ეროვნულ სისტემებს, აღიარებენ მეცნიერულად დადასტურებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ თამბაქოს მოხმარება და თამბაქოს კვამლის შესუნთქვა იწვევს სიკვდილს, ავადმყოფობას და შრომის უნარის დაქვეითებას.

მაშასადამე, უდავოა, რომ თამბაქოს მოხმარება მძიმე დაავადებებისა და ლეტალური შედეგების ერთ-ერთი გამომწვევი სერიოზული მიზეზია, რის გამოც „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კრიტერიუმები, მოთხოვნები, პირობები და წესები უნდა ეფუძნებოდეს ისეთ პრინციპებს, როგორცაა: თამბაქოს

ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტად აღიარება; არამწვევლთა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარება; თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება და თამბაქოს ნაწარმის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობა; თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისა და მოხმარების დაწყების პრევენციის ხელშეწყობა; თამბაქოს რეკლამისაგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებისა და მისი ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარება; საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა; კანონით დაშვებული სხვა ღონისძიებების განხორციელება ამ კანონის მიზნის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის ამოცანებისა და პრინციპების შესრულებისთვის.

განსახილველ საკითხზე განსაკუთრებით საყურადღებოა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის „C“ პუნქტი, რომლის თანახმად, წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის „თამბაქოს რეკლამირება და პოპულარიზაცია“ ნიშნავს ნებისმიერი სახის კომერციული ინფორმაციის ან რეკომენდაციის მიწოდებას ან ღონისძიების გატარებას, რომლის მიზანია ან რომელსაც შედეგად მოჰყვება, ან სავარაუდოა, რომ შედეგად მოჰყვეს თამბაქოს ნაწარმის ან მისი მოხმარების ხელშეწყობა პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპზე დარყდნობით, რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (საქართველოში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან) და ამ კონვენციის ფარგლებში ევროპულის სასამართლოს პრაქტიკას.

კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რის შესახებაც ევროპული სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ მე-6 მუხლში არაფორმალური პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია „საშუალებათა თანასწორობის“ (შეჯიბრებითობის) პრინციპი, რომელიც ნიშნავს, რომ მხარეთაგან თითოეულს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა საქმის განხილვისას და არც ერთი მხარე არ უნდა სარგებლობდეს რაიმე არსებითი უპირატესობით თავის ოპონენტთან შედარებით (იხ. CASE OF NEUMEISTER V. AUSTRIA).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეორე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები,



უარყოფს ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მითითებულ ნორმას ავსებს იმავე კოდექსის 102-ე მუხლი, რომლითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების პროცესში ფაქტების დამტკიცებას იწყებს ოქმის შემდგენი, რომელმაც უნდა დაადასტუროს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაქტების მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირზე გადადის მხოლოდ მაშინ, როდესაც ოქმის შემდგენი დაამტკიცებს ოქმში მითითებულ გარემოებებს, რაც შესაძლოა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულებებით.

საქმის ზეპირი განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტს შეედავა მის ვებ-გვერდზე სტატიის გამოქვეყნებით თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაციაში.

საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები, თუმცა იმავე მუხლის მე-5 პუნქტით გაცხადებულია, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზღვარსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტულად აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ფასეულობები, დაცულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით, რომელიც კონსტიტუციის მსგავსად ასევე ითვალისწინებს ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს. კერძოდ, ხსენებული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.

მითითებული ნორმების შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, შესაფასებელი საკითხია, ინსტიტუტის მიერ სტატიით დაფიქსირებული მსჯელობა უნდა დაექვემდებაროს თუ არა შეზღუდვას.

საქმეში წარმოდგენილი ამონარიდების თანახმად, ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ პირად, ყველასათვის ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე - <https://www.isr.ge> გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის სტატია: „პრობლემასთან გამკლავების მიზნით, შეიქმნა თამბაქოს უკვამლო მოწყობილობები, რომლებიც ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით საშუალოდ 90-95% პროცენტით ამცირებს თამბაქოს გამონაბოლქვში არსებულ მავნე ნივთიერებების რაოდენობას და მილიონობით მწევლის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა“. „თამბაქოს ზიანის შემცირების სტრატეგიის მთავარი ინსტრუმენტებია: ნიკოტინის შემცველი პლასტიკები, ნიკოტინის საღებავი რეზინები და თამბაქოს ატრენტატიული მოწყობილობები - სნუსი, თამბაქოს გასახურებელი მოწყობილობები და ელექტრონული სიგარეტები“.

სასამართლო თვლის, რომ ინსტიტუტი გამოქვეყნებული სტატიით განვითარებული მსჯელობით საჯარო ვებ-გვერდით დაინტერესებულ პირებზე დადებით კონტექსტში გასცემს რეკომენდაციას თამბაქოს კონკრეტული ნაწარმის თაობაზე, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს თამბაქოს ნაწარმის ან მისი მოხმარების ხელშეწყობა პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით და რაც „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, წარმოადგენს თამბაქოს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი პროდუქტის (ნაწარმის) პოპულარიზაციას, ხოლო როგორც ზემოთ აღინიშნა, პოპულარიზაცია, სწორედ ადამიანის ძირითადი უფლებების - სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადი ქმედებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ ჩადენილია სამართალდარღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის მე-10¹ ნაწილის შესაბამისად, რამეთუ ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტმა განახორციელა თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია ელექტრონული საშუალებით - ინტერნეტით, რის გამოც ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტი ცნობილ უნდა იქნეს სამართალდამრღვევად მითითებული ნორმით და დაეკისროს ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღო ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი და დამრღვევის ბრალის ხარისხი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8, მე-10, 171⁵-ე, 266-268-ე, 271-ე, 272-ე, 279-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა(ა)იპ სოციალური კვლევების ინსტიტუტი (ს/ნ 203843895) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171⁵-ე მუხლის მე-10¹ ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისროს ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით;

2. დამრღვევი ვალდებულია დაკისრებული თანხა გადაიხადოს დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 07 დღისა და წარმოადგინოს სასამართლოში მისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი), წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად. აღნიშნული თანხა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში შემდეგ ანგარიშებზე: ერთიანი ანგარიში 200 122 900, სახელმწიფო ხაზინის კოდი 220 101 222, სახაზინო კოდი 30077 3256;

3. დადგენილების ასლი გადაეცეთ მხარეებს;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მხარისათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი N7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს (მდებარე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64) მეშვეობით.

მოსამართლე

მანუჩარ ცაცუა